



ვიზა

სასტუმრო ვიზა
ტურისტული ვიზა
ბიზნეს ვიზა
სამუშაო ვიზა

სასწავლო ვიზა
სამედიცინო მომსახურების ვიზა
ოჯახის გაერთიანების ვიზა
ქორწინების რეგისტრაცია

შვეიცარიის საელჩო საქართველოში გაცემს შვეიცარიის და ავსტრიის შენგენის ვიზებს საქართველოს მოქალაქეებისათვის და იმ პირებისათვის, ვისაც აქვთ ამ ქვეყანაში დროებითი ბინადრობის უფლება.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ავსტრიის შენგენის ვიზის მისაღებად გამოყენებული იქნება იგივე წესები და რეგულაციები რაც შვეიცარიის შენგენის ვიზის მისაღებად. გამონაკლისია ბიზნეს და სასტუმრო ვიზები სადაც ავსტრიის შემთხვევაში დამატებით მოითხოვება ე.წ. „Elektronische Verpflichtungserklaerung EVE“ (ფინანსების დამადასტურებელი საბუთი). ამ საბუთთან დაკავშირებით დაწვრილებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ იხილოთ ბიზნეს ან სასტუმრო ვიზის წესები.

იმ შემთხვევაში თუ ავსტრიაში ყოფნის ვადა აღემატება 90 დღეს, და/ან მუშაობის, სწავლის, ქორწინების ან ოჯახის გაერთიანების შემთხვევაში ვიზის მსურველებმა უნდა წარადგინონ განაცხადი ქ. ბაქოში მისამართი: Landmark III, 7 Stock, Nizami Str. 90A AZ-1010 Baku, Azerbaijan, Tel: 994 12 465 99 33 Fax: 994 12 465 99 94 E-Mail: baku-ob@bmeia.gv.at

გთხოვთ წარმოადგინოთ სრულად შევსებული და ხელმოწერილი საგისო განაცხადი ყველა საჭირო საბუთით, გაითვალისწინეთ, რომ არსებობს სხვადასხვა ტიპის ვიზები, რომლებსაც სხვადასხვა საბუთები სჭირდება.

გთხოვთ გაეცნოთ საელჩოს დასვენების დღეებს შემდეგ მისამართზე: <http://www.eda.admin.ch/eda/en/home/reps/eur/vgeo/embtbi.html>

ზოგადი ინფორმაცია

- შენგენის ვიზის მოსაკრებელი საქართველოს, მოლდავეთისა და რუსეთის მოქალაქეებისათვის შეადგენს 35 ევროს / 49 აშშ დოლარს.

გადახდა წარმოებს დოლარში, ნაღდი ფულით საფიზო განაცხადისა და ყველა საჭირო საბუთის შემოტანისთანავე.

- ყველა იმ პირს, რომელსაც პირველად შემოაქვს განაცხადი თბილისში მდებარე შვეიცარიის საელჩოში, ევალება რომ პირადად გამოცხადდეს საკონსულოში. საელჩო იტოვებს უფლებას სთხოვოს ვიზის მიღების მსურველს პირადად გამოცხადდეს საკონსულოში გასაუბრებაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირს უკვე აღებული აქვს ადრე ვიზა თბილისში, შვეიცარიის საელჩოში.
- დროებითი ბინადრობის უფლების მქონე პირებს, აგრეთვე ზოგიერთი ქვეყნის ბინადრობის საბუთის მქონე პირებს, არ სჭირდებათ ვიზის აღება. გთხოვთ დაუკავშირდეთ საელჩოს შემდგომი დეტალებისათვის.
- გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მუშაობა სასტიკად აკრწალულია შვეიცარიაში / ავსტრიაში ან ლიხტენშტეინში მოგზაურობის განმავლობაში, თუკი პიროვნებას არ აქვს შესაბამისი სამუშაო ვიზა.
- თითოეული განაცხადი განიხილება ინდივიდუალურად და შემოტანის მომენტში არ გაიცემა არანაირი გარანტია ვიზის გაცემის თაობაზე. უარის შემთხვევაში საელჩო არ აბრუნებს საფიზო მოსაკრებელს.
- განაცხადები შემოტანილი უნდა იყოს მინიმუმ 2 კვირით და მაქსიმუმ 3 თვით ადრე გამგზავრებამდე.
- ვიზის დამუშავების პერიოდი მოიცავს 10 სამუშაო დღეს (მას მერე რაც ყველა საჭირო საბუთი წარმოდგენილი იქნება). განაცხადები, რომელთა დამუშავებაც სცილდება საელჩოს კომპეტენციის ფარგლებს, გაიგზავნება შვეიცარიაში, სადაც შესაბამისი ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას ვიზის გაცემის თაობაზე: იხილეთ შემდეგი პუნქტი.
- გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ გარკვეულ შემთხვევებში და ვიზის ზოგიერთი ტიპის შემთხვევაში განაცხადი გაგზავნილი იქნება შვეიცარიაში შესაბამის ორგანოში გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას შესაძლოა დასჭირდეს რამოდენიმე კვირა.
- შვეიცარიის საელჩო იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია, გასცეს საგარანტიო ფორმა ან გააგზავნოს განაცხადი შესაბამის ორგანოში შვეიცარიაში ან ავსტრიაში ვიზის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.
- თუ საჭირო გახდა განაცხადის გადაგზავნა შვეიცარიაში, შესაბამის ორგანოში საფიზო მოსაკრებელს დაემატება საფოსტო გზავნილის გადასახადი.
- საელჩო არ იღებს ვალდებულებას შეატყობინოს ვიზის აღების მსურველ პირს შვეიცარიის შესაბამისი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. აქედან გამომდინარე ვიზის მიღების მსურველი პირი თავად უკავშირდება საელჩოს სატელეფონო ზარებზე პასუხის პერიოდში.

- საჭირო საბუთები, რომლებიც თან ერთვის საფიზო განაცხადს წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად ან იტალიურად ან უნდა იყოს ნათარგმნი ერთერთ ზემოდ ჩამოთვლილ ენაზე. გარკვეულ შემთხვევაში, შეიძლება საჭირო გახდეს ზოგიერთი საბუთის აპოსტოლის ბეჭდით დამოწმება.
- ყველა პირმა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე უნდა წარმოადგინოს საქართველოს დროებითი ბინადრობის უფლება.
- იმ შემთხვევაში თუკი 18 წლამდე ბავშვები მოგზაურობენ მშობლების ან ერთერთი მშობლის გარეშე, დამატებით საჭიროა წარმოადგინოთ ორივე ან ერთერთი მშობლის (რომელიც არ მიყვება) ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, ნოტარიულად დამოწმებული თარგმანით ინგლისურად ან ერთერთ შვეიცარიის სახელმწიფო ენაზე და ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი თარგმანით (ნოტარიუსის გარეშე, ზოგიერთ შემთხვევაში აპოსტოლის ბეჭდით დამოწმებული)
- საფიზო განაცხადი უნდა შეიფოს გერმანულად, ფრანგულად ან ინგლისურად. რუსულად ან ქართულად შევსებული განაცხადები არ მიიღება.
- ფოსტით გამოგზავნილი საფიზო განაცხადები არ მიიღება და არ ექვემდებარება განხილვას.

ბიზნეს ვიზა

იმ პირებისათვის, რომელთაც სურთ შეხვდნენ თავიანთ ბიზნეს პარტნიორებს შვეიცარიასა და ავსტრიაში ან იმ პირებისათვის ვისი მომწვევი მხარეც არის ორგანიზაცია.

საბუთების სია ბიზნეს ვიზისთვის (ვიზის ტიპი C, შენგენის საფიზო ანკეტა)

1. შენგენის საფიზო ანკეტა სრულყოფილად შევსებული და ხელმოწერილი (ბოლო ფურცელზე ორ ადგილას) არასრულად შევსებული და ხელმოწერელი ანკეტები არ მიიღება.
2. პასპორტი, რომელიც ძალაშია შვეიცარიის / ავსტრიის / შენგენის სივრცის დატოვების თარიღიდან მინიმუმ სამი თვე მაინც და გაცემულია ბოლო 10 წლის განმავლობაში.
3. პასპორტის ასლი (სურათიანი გვერდის ასლი და იმ შემთხვევაში თუ პასპორტი გაგრძელებულია, იმ გვერდის ასლიც, რომელზედაც გაგრძელების შენიშვნა არის დაფიქსირებული)
4. ძალაში მყოფი და ძალაში არ მყოფი ვიზების ასლები.
5. ორი პასპორტის ზომის ფოტოსურათი 35 / 40 მმ-ზე, მკაფიო ფოკუსით, დაუზიანებელი, გადაღებული ბოლო ორი თვის მანძილზე. ფოტოსურათები, რომლებიც არ დააკმაყოფილებს ამ პირობებს არ მიიღება.

6. წერილი სამსახურიდან (ოფიციალურ ბლანკზე, ხელმოწერილი, ბეჭდით, რომელზედაც გარკვევით უნდა ჩანდეს ორგანიზაციის სარეგისტრაციო ნომერი) შემდეგი ინფორმაციით: გვარი, სახელი, თანამდებობა, ხელფასის ოდენობა, მოგზაურობის მიზანი და თარიღები, აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ თუ ვინ ფარავს მოგზაურობასთან დაკავშირებულ ხარჯებს. წერილი მიმართული უნდა იყოს შვეიცარიის საელჩოსადმი თბილისში და უნდა იყოს შედგენილი ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად ან იტალიურად ან უნდა იყოს ნათარგმნი ერთერთ რომელიმე ამ ენაზე.
7. ვიზის მსურველი პირის ფინანსური გარანტიები ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ან იტალიურ ენაზე ან თარგმანით (საბანკო ამონაწერი სახელფასო ანგარიშიდან ბოლო სამი თვის ფულის მიმოქცევით, თუკი პირს აქვს საბანკო ანგარიშები, ცნობა საბანკო ანგარიშის ან ანგარიშების შესახებ).
8. მოწვევის წერილი, (უნდა იყოს ორიგინალი ან მომწვევმა მხარემ შვეიცარიიდან ან ავსტრიიდან უნდა გამოაგზავნოს მოწვევის წერილის სკანირებული ვერსია პირდაპირ საელჩოს მეილზე) ხელმოწერილი მომწვევი მხარის მიერ.

მოწვევის წერილი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- გვარი, სახელი, დაბადების თარიღი
- მოგზაურობის მიზანი, შვეიცარიაში / ავსტრიაში / შენგენის სივრცეში შესვლის თარიღი და ყოფნის ვადა, აგრეთვე შესვლის რაოდენობა
- მომწვევი მხარე უნდა უზრუნველყოფდეს მოგზაურობასთან დაკავშირებულ ხარჯებს (კვება, სასტუმროს ხარჯები) მოწვევის წერილზე ხელს აწერს მხოლოდ ის პირი (პირები), რომელიც უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ოფიციალურ საბუთს ორგანიზაციის კომერციული რეესტრის ამონაწერის მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში საელჩოს უფლება აქვს მოითხოვოს შვეიცარიული ან ავსტრიული ორგანიზაციის კომერციული რეესტრის ამონაწერი, პირველი ფურცელი და ის გვერდი, სადაც დაფიქსირებულია ის პირი (პირები), რომელიც ხელს აწერს მოწვევის წერილს.

მხოლოდ ავსტრიისთვის

მომწვევმა ორგანიზაციამ მოწვევასთან ერთად ავსტრიის პოლიციაში უნდა გააკეთოს ფინანსური საბუთი Elektronische

erpflichtungserklaerung (EVE) , რომელსაც თვით პოლიციის

განჯოფილება გადაუგზავნის ავსტრიის საელჩოს ბაქოში, ხოლო შემდეგ ავსტრიის საელჩო გადმოგვიგზავნის ჩვენ თბილისში.

მოწვევისა და ფინანსური საბუთის (EVE) მიღების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ გადაამოწმეთ შვეიცარიის საელჩოს ნომრებზე 15.00 დან 17.00 მდე პარასკევის გარდა.

9. იმ შემთხვევაში თუ შვეიცარიის ან ავსტრიის ორგანიზაცია არ უზრუნველყოფს სამოგზაურო ხარჯებს, თვით ვიზის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს სასტუმროს ჯაგშანი და ფინანსური გარანტიები, როგორცაა საბანკო ანგარიშის ამონაწერი, ბოლო სამი თვის ფულადი სახსრების ბრუნვით.
10. ორი ვიზის ბილეთის ჯაგშანი (ორიგინალი ასლით), ჯაგშანი უკან დასაბრუნებელი ღია თარიღით არ მიიღება
11. სამოგზაურო დაზღვევის პოლისი, 30 000 ევრო სადაზღვევო ლიმიტით, რომელიც ძალაშია მთელი შენგენის სივრცისთვის (ორიგინალი ასლით)

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ბიზნეს ვიზა არ გაძლევათ მუშაობის უფლებას შვეიცარიაში ან ავსტრიაში.

ის პირები, რომლებიც პირველად იღებენ ვიზას თბილისში, შვეიცარიის საელჩოში უნდა გამოცხადდნენ პირადად.

განსაკუთრებულ შემთხვევებში საელჩო იტოვებს უფლებას:

- მოითხოვოს დამატებითი საბუთები
- გადააგზავნოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია შვეიცარიის ან ავსტრიის შესაბამის ორგანოში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად
- დაიბაროს ვიზის მსურველი პირი გასაუბრებაზე

სასტუმრო ვიზა

იმ პირებისათვის, რომელთაც სურთ თავიანთი ოჯახის წევრების, ნათესავების ან მეგობრების მონახულება, რომლებიც ცხოვრობენ შვეიცარიაში ან ავსტრიაში ანუ არიან შვეიცარიის ან ავსტრიის მოქალაქეები ან აქვთ ამ ორ ქვეყანაში ლეგალური ცხოვრების უფლება.

საბუთების სია სასტუმრო ვიზისთვის (ვიზის ტიპი C, შენგენის საფიზო ანკეტა, გაიცემა მაქსიმუმ 90 დღით)

1. შენგენის საფიზო ანკეტა სრულყოფილად შევსებული და ხელმოწერილი (ბოლო ფურცელზე ორ ადგილას) არასრულად შევსებული და ხელმოუწერილი ანკეტები არ მიიღება.
2. პასპორტი, რომელიც ძალაშია შვეიცარიის / ავსტრიის / შენგენის სივრცის დატოვების თარიღიდან მინიმუმ სამი თვე მაინც და გაცემულია ბოლო 10 წლის განმავლობაში.
3. პასპორტის ასლი (სურათიანი გვერდის ასლი და იმ შემთხვევაში თუ პასპორტი გაგრძელებულია, იმ გვერდის ასლიც, რომელზედაც გაგრძელების შენიშვნა არის დაფიქსირებული)
4. ძალაში მყოფი და ძალაში არმყოფი ვიზების ასლები.

5. ორი პასპორტის ზომის ფოტოსურათი 35 / 40 მმ-ზე, მკაფიო ფოკუსით, დაუზიანებელი, გადაღებული ბოლო ორი თვის მანძილზე. ფოტოსურათები, რომლებიც არ დააკმაყოფილებს ამ პირობებს არ მიიღება.
6. სამოგზაურო დაზღვევის პოლისი (უბედური შემთხვევისა და ჯანმრთელობის დაზღვევა), სადაზღვევო ლიმიტი მინიმუმ 30 000 ევრო, რომელიც ძალაში იქნება მთელი შენგენის სივრცისთვის. ორიგინალი, ერთი ასლით.
გამონაკლისები:
სამოგზაურო დაზღვევის პოლისი არ მოეთხოვება ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის მეუღლეს ან ოჯახის წევრს.
მომწვევ მხარეს შეუძლია შეიძინოს სამოგზაურო დაზღვევა თავისი სტუმრისთვის. ამ შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას ამ დაზღვევის ასლი.
7. ორი გზის ბილეთის ჯაგშანი ორიგინალი, ასლით. ჯაგშანი უკან დასაბრუნებელი ღია თარიღით არ მიიღება.
8. მოწვევის წერილი, ხელმოწერილი მომწვევი მხარის მიერ, შემდეგი ინფორმაციით:
 - გვარი, სახელი, დაბადების თარიღი და პასპორტის ნომერი;
 - შვეიცარიაში / ავსტრიაში / შენგენის სივრცეში შესვლის თარიღი, ყოფნის ვადა და შესვლის რაოდენობა.
 - მომწვევი მხარის კავშირი იმ პირთან, ვისაც იწვევს (ნათესავი, ოჯახის წევრი, მეგობარი)
 - იმ შემთხვევაში თუ მომწვევი მსცარე იღებს თავის თავზე ვალდებულებას დაფაროს თავისი სტუმრის მოგზაურობასთან დაკავშირებული ხარჯები, მან მოწვევას თან უნდა დაურთოს თავისი გარანტია (დეკლარაცია ხარჯების ანაზღაურების შესახებ) რომელიც მოიცავს შემდეგს:
 - ვალდებულება, რომ მისი სტუმარი დატოვებს შვეიცარიას / ავსტრიას / შენგენის სივრცეს ვიზის ვადის ამოწურვისთანავე.
- მომწვევი მხარის შვეიცარიის ან ავსტრიის პასპორტის ასლი ან ამ ორ ქვეყანაში ცხოვრების უფლების ასლი და საჭიროების შემთხვევაში ყველა სხვა საბუთი: როგორცაა ფინანსური გარანტიები ან ნათესაობის დამამტკიცებელი საბუთები უნდა გამოიგზავნოს მოწვევის წერილთან ერთად სკანირებული ვერსიით E-mail - ის შემდეგ მისამართზე: tif.visatiflis@eda.admin.ch
9. თუკი პირი მიემგზავრება შვეიცარიაში ან ავსტრიაში ოჯახის წევრთან, საჭიროა წარმოდგენილ იქნას ნათესაობის დამამტკიცებელი საბუთი, როგორცაა დაბადების მოწმობები, ქორწინების მოწმობები (ასლები თარგმანით, ზოგ შემთხვევაში საელჩომ შესაძლოა მოითხოვოს მათი აპოსტოლით დამოწმებაც).

10. წერილი სამსახურიდან (ოფიციალურ ბლანკზე, ხელმოწერილი, ბეჭდით, რომელზედაც გარკვევით უნდა ჩანდეს ორგანიზაციის სარეგისტრაციო ნომერი) შემდეგი ინფორმაციით: გვარი, სახელი, თანამდებობა, ხელფასის ოდენობა და შევსებულების შესახებ ინფორმაცია. წერილი მიმართული უნდა იყოს შევიცარიის საელჩოსადმი თბილისში და უნდა იყოს შედგენილი ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად ან იტალიურად ან უნდა იყოს ნათარგმნი რომელიმე ამ ენაზე.
11. ცნობა სასწავლებლიდან (თუკი ხართ მოსწავლე ან სტუდენტი და არ მუშაობთ)
12. ვიზის მსურველი პირის ფინანსური გარანტიები (საბანკო ანგარიში ბოლო სამი თვის ფულის მიმოქცევით).
13. Elektronische Verpflichtungserklärung (EVE) საჭიროა მხოლოდ იმ პირებისათვის ვინც მიემგზავრებიან ავსტრიაში. მომწვევმა მხარემ უნდა მოითხოვოს ეს ფორმა ავსტრიის შესაბამის პოლიციის განყოფილებაში.

ტურისტული ვიზა

იმ პირებისათვის, რომელთაც სურთ ტურისტული მიზნით გაემგზავრონ შევიცარიისა და ავსტრიაში.

საბუთების სია ტურისტული ვიზისთვის (ვიზის ტიპი C, შენგენის საფიზო ანკეტა)

- შენგენის საფიზო ანკეტა სრულყოფილად შევსებული და ხელმოწერილი (ბოლო ფურცელზე ორ ადგილას) არასრულად შევსებული და ხელმოწერილი ანკეტები არ მიიღება.
- პასპორტი, რომელიც ძალაშია შევიცარიის / ავსტრიის / შენგენის სივრცის დატოვების თარიღიდან მინიმუმ სამი თვე მანძილზე და გაცემულია ბოლო 10 წლის განმავლობაში.
- პასპორტის ასლი (სურათიანი გვერდის ასლი და იმ შემთხვევაში თუ პასპორტი გაგრძელებულია, იმ გვერდის ასლიც, რომელზედაც გაგრძელების შენიშვნა არის დაფიქსირებული)
- ძალაში მყოფი და ძალაში არ მყოფი ვიზების ასლები.
- ორი პასპორტის ზომის ფოტოსურათი 35 / 40 მმ-ზე, მკაფიო ფოკუსით, დაუზიანებელი, გადაღებული ბოლო ორი თვის მანძილზე. ფოტოსურათები, რომლებიც არ დააკმაყოფილებს ამ პირობებს არ მიიღება.
- სასტუმროს ჯაგშანი ან ბინის ქირაფლობის ხელშეკრულება ვიზის მსურველი პირის მონაცემებით: გვარი, სახელი, სასტუმროში ან დაქირავებულ ბინაში ყოფნის ვადები. სასტუმროს ჯაგშანი ან ბინის

ქირაგნობის ხელშეკრულება უნდა გამოიგზავნოს შევიცარიდან ან ავსტრიიდან პირდაპირ საელჩოს მეილზე. ინტერნეტიდან ამობეჭდილი ან ტურისტული სააგენტოს მიერ გაცემული სასტუმროს ჯაგშანი არ მიიღება.

- წერილი სამსახურიდან (ოფიციალურ ბლანკზე, ხელმოწერილი, ბეჭდით, რომელზედაც გარკვევით უნდა ჩანდეს ორგანიზაციის სარეგისტრაციო ნომერი) შემდეგი ინფორმაციით: გვარი, სახელი, თანამდებობა, ხელფასის ოდენობა, ინფორმაცია შვებულების / მივლინების ვადების შესახებ. წერილი მიმართული უნდა იყოს შევიცარიის საელჩოსადმი თბილისში და უნდა იყოს შედგენილი ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად ან იტალიურად ან უნდა იყოს ნათარგმნი ერთერთ რომელიმე ამ ენაზე.
- ვიზის მსურველი პირის ფინანსური გარანტიები (საბანკო ამონაწერი ბოლო სამი თვის ფულის მიმოქცევის შესახებ, ცნობა საბანკო ანგარიშის შესახებ). თითოეულ პირს უნდა ჰქონდეს საშუალება დაფაროს შევიცარიაში ან ავსტრიაში ყოფნის თითოეული დღის ხარჯები მინიმუმ 100 შევიცარული ფრანკით. ბანკის ამონაწერი უნდა იყოს შედგენილი ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად ან იტალიურად ან უნდა იყოს ნათარგმნი ერთერთ რომელიმე ამ ენაზე.
- ორი ვიზის ბილეთის ჯაგშანი (ორიგინალი ასლით), ჯაგშანი უკან დასაბრუნებელი ღია თარიღით არ მიიღება
- სამოგზაურო დაზღვევის პოლისი, 30 000 ევრო სადაზღვევო ლიმიტით, რომელიც ძალაშია მთელი შენგენის სივრცისთვის (ორიგინალი ასლით) შევიცარიაში ან ავსტრიაში ტურისტული მოგზაურობის მსურველებმა უნდა მომართონ საკონსულოს პირადად.
განსაკუთრებულ შემთხვევებში საელჩო იტოვებს უფლებას დამატებით მოითხოვოს:
 - ტურისტული მოგზაურობის დეტალური პროგრამა
 - სხვა დამატებითი საბუთები
 - გადააგზავნოს ვიზის მსურველი პირის დოკუმენტაცია შევიცარიის ან ავსტრიის შესაბამის ორგანოში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

ვიზა სამედიცინო მომსახურებისათვის

იმ პირებისათვის, რომლებიც მიემგზავრებიან შევიცარიაში ან ავსტრიაში სამედიცინო მომსახურებისთვის (ვიზის ტიპი C / შენგენის სავიზო ანკეტა

საბუთების სია პაციენტისათვის:

1. შენგენის საფიზო ანკეტა სრულყოფილად შევსებული და ხელმოწერილი (ბოლო ფურცელზე ორ ადგილას) არასრულად შევსებული და ხელმოწერელი ანკეტები არ მიიღება.
2. პასპორტი, რომელიც ძალაშია შევიცარიის / ავსტრიის / შენგენის სივრცის დატოვების თარიღიდან მინიმუმ სამი თვე მაინც და გაცემულია ბოლო 10 წლის განმავლობაში.
3. პასპორტის ასლი (სურათიანი გვერდის ასლი და იმ შემთხვევაში თუ პასპორტი გაგროძელდება, იმ გვერდის ასლიც, რომელზედაც გაგროძელების შენიშვნა არის დაფიქსირებული)
4. ძალაში მყოფი ვიზების ასლები.
5. ორი პასპორტის ზომის ფოტოსურათი 35 / 40 მმ-ზე, მკაფიო ფოკუსით, დაუზიანებელი, გადაღებული ბოლო ორი თვის მანძილზე. ფოტოსურათები, რომლებიც არ დააკმაყოფილებს ამ პირობებს არ მიიღება.
6. კლინიკიდან ჩვენს მეილზე გადმოგზავნილი წერილი / კონფერმაცია სამედიცინო კონსულტაციის თარიღის ან გარკვეულ პერიოდში მკურნალობის კურსის ჩატარების შესახებ, ხელმოწერილი პასუხისმგებელი პირის მიერ. კლინიკის წერილში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია სამედიცინო მომსახურების საფასურის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის თაობაზე, გადახდილი თანხის ოდენობის მითითებით.
7. წერილი სამსახურიდან (ოფიციალურ ბლანკზე, ხელმოწერილი, ბეჭდით, რომელზედაც გარკვევით უნდა ჩანდეს ორგანიზაციის სარეგისტრაციო ნომერი) შემდეგი ინფორმაციით: გვარი, სახელი, თანამდებობა, ხელფასის ოდენობა და შევსებულების შესახებ ინფორმაცია. წერილი მიმართული უნდა იყოს შევიცარიის საელჩოსადმი თბილისში და უნდა იყოს შედგენილი ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად ან იტალიურად ან უნდა იყოს ნათარგმნი რომელიმე ამ ენაზე.
8. ვიზის მსურველი პირის ფინანსური გარანტიები (საბანკო ანგარიში ბოლო სამი თვის ფულის მიმოქცევით).
9. იმ შემთხვევაში, თუკი პაციენტი მკურნალობის კურსის დროს არ რჩება კლინიკაში, საჭიროა სასტუმროს ჯაგშანი (გადმოგზავნილი სასტუმროს მიერ პირდაპირ საელჩოს მეილზე) გვარის სახელისა და თარიღების მითითებით.
10. ორი გზის ბილეთის ჯაგშანი ორიგინალი და ასლი, ჯაგშანი უკან დასაბრუნებელი ღია თარიღით არ მიიღება
11. სამოგზაურო დაზღვევის პოლისი (უბედური შემთხვევისა და ჯანმრთელობის დაზღვევა), სადაზღვევო ლიმიტი მინიმუმ 30 000 ევრო, რომელიც ძალაში იქნება მთელი შენგენის სივრცისთვის. ორიგინალი, ერთი ასლით.

საბუთების სია პაციენტის თანმხლები პირებისათვის:

1. შენგენის საფიზო ანკეტა სრულყოფილად შევსებული და ხელმოწერილი (ბოლო ფურცელზე ორ ადგილას) არასრულად შევსებული და ხელმოწერილი ანკეტები არ მიიღება.
2. პასპორტი, რომელიც ძალაშია შვეიცარიის / ავსტრიის / შენგენის სივრცის დატოვების თარიღიდან მინიმუმ სამი თვე მაინც და გაცემულია ბოლო 10 წლის განმავლობაში.
3. პასპორტის ასლი (სურათიანი გვერდის ასლი და იმ შემთხვევაში თუ პასპორტი გაგრძელებულია, იმ გვერდის ასლიც, რომელზედაც გაგრძელების შენიშვნა არის დაფიქსირებული)
4. ძალაში მყოფი ვიზების ასლები.
5. ორი პასპორტის ზომის ფოტოსურათი 35 / 40 მმ-ზე, მკაფიო ფოკუსით, დაუზიანებელი, გადაღებული ბოლო ორი თვის მანძილზე. ფოტოსურათები, რომლებიც არ დააკმაყოფილებს ამ პირობებს არ მიიღება.
6. კლინიკიდან ჩვენს მეილზე გადმოგზავნილი წერილი / კონფერმაცია, რომელშიც მითითებული უნდა იყოს პაციენტის თანმხლები პირის გარი და სახელი.
7. სასტუმროს ჯაგშანი (გადმოგზავნილი სასტუმროს მიერ პირდაპირ საელჩოს მეილზე) გვარის, სახელისა და თარიღების მითითებით.
8. წერილი სამსახურიდან (ოფიციალურ ბლანკზე, ხელმოწერილი, ბეჭდით, რომელზედაც გარკვევით უნდა ჩანდეს ორგანიზაციის სარეგისტრაციო ნომერი) შემდეგი ინფორმაციით: გვარი, სახელი, თანამდებობა, ხელფასის ოდენობა და შევსებულების შესახებ ინფორმაცია. წერილი მიმართული უნდა იყოს შვეიცარიის საელჩოსადმი თბილისში და უნდა იყოს შედგენილი ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად ან იტალიურად ან უნდა იყოს ნათარგმნი რომელიმე ამ ენაზე.
9. ვიზის მსურველი პირის ფინანსური გარანტიები (საბანკო ანგარიში ბოლო სამი თვის ფულის მიმოქცევით), რომელიც საკმარისი იქნება თითოეულ დღეზე 100 შვეიცარული ფრანკის (დაახლოებით 85 აშშ დოლარი) ოდენობის ხარჯის დასაფარად. საბანკო ანგარიში და სხვა საბუთები წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად ან იტალიურად ან უნდა იყოს ნათარგმნი რომელიმე ამ ენაზე.
10. ორი ვიზის ბილეთის ჯაგშანი ორიგინალი და ასლი, ჯაგშანი უკან დასაბრუნებელი ღია თარიღით არ მიიღება.
11. სამოგზაურო დაზღვევის პოლისი (უბედური შემთხვევისა და ჯანმრთელობის დაზღვევა), სადაზღვევო ლიმიტი მინიმუმ 30 000 ევრო, რომელიც ძალაში იქნება მთელი შენგენის სივრცისთვის. ორიგინალი, ერთი ასლით.

ის პირები, რომლებიც პირველად წარადგენენ განაცხადს ვიზაზე, გარკვეული შემთხვევების გარდა, უნდა გამოცხადდნენ პირადად.

ტრანზიტული ვიზა

იმ პირებისათვის, რომლებსაც უწევთ ტრანზიტული მიზნით მოგზაურობა შვეიცარიის / ავსტრიის / შენგენის სივრცეში სანამ ჩავლენ თავიანთი საბოლოო დანიშნულების პუნქტამდე. ტრანზიტული ვიზა საშუალებას აძლევს მის მფლობელს დარჩეს შენგენის სივრცეში მაქსიმუმ 5 დღე. (ვიზის ტიპი A / შენგენის საფიზო ანკეტა)

ძირითადი პირობა:

- ტრანზიტული ვიზის მსურველ პირს უკვე უნდა ჰქონდეს საბოლოო დანიშნულების ქვეყნის ვიზა.
- ძალაში მყოფი ბილეთი

საბუთების სია ტრანზიტული ვიზისთვის

1. შენგენის საფიზო ანკეტა სრულყოფილად შევსებული და ხელმოწერილი (ბოლო ფურცელზე ორ ადგილას) არასრულად შევსებული და ხელმოუწერელი ანკეტები არ მიიღება.
2. პასპორტი, რომელიც ძალაშია შვეიცარიის / ავსტრიის / შენგენის სივრცის დატოვების თარიღიდან მინიმუმ სამი თვე მაინც და გაცემულია ბოლო 10 წლის განმავლობაში.
3. პასპორტის ასლი (სურათიანი გვერდის ასლი და იმ შემთხვევაში თუ პასპორტი გაგროძელებულია, იმ გვერდის ასლიც, რომელზედაც გაგროძელების შენიშვნა არის დაფიქსირებული)
4. ძალაში მყოფი და ძალაში არ მყოფი ვიზების ასლები.
5. ორი პასპორტის ზომის ფოტოსურათი 35 / 40 მმ-ზე, მკაფიო ფოკუსით, დაუზიანებელი, გადაღებული ბოლო 6 თვის მანძილზე. ფოტოსურათები, რომლებიც არ დააკმაყოფილებს ამ პირობებს არ მიიღება.
6. შენგენის სივრცის მიღმა, საბოლოო დანიშნულების ქვეყნის ბილეთი (ორიგინალი, ასლით)

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქართველოს მოქალაქეს არ სჭირდება აეროპორტის ტრანზიტული ვიზა შვეიცარიის, ავსტრიის ან შენგენის სივრცის აეროპორტების ტრანზიტულ ზონაში. თუმცა, სხვა ზოგიერთი ქვეყნის მოქალაქეს შეიძლება ჰქონდეს აეროპორტის ტრანზიტული ვიზის ქონის საჭიროება. თუ თქვენ არ მძინდებით საქართველოს მოქალაქე და გეგმავეთ შვეიცარიის გავლით სხვა ქვეყანაში გამგზავრებას, გთხოვთ ეწვიოთ

მიგრაციის ფედერალური ოფისის ვებ გვერდს შექმდე
მისამართზე: www.bfm.admin.ch , საიდანაც თქვენ მოიპოვებთ საჭირო ინფორმაციას.

სასწავლო ვიზა

იმ პირებისათვის, რომლებსაც სურთ შვეიცარიაში ან ავსტრიაში სწავლა. მოსწავლეებმა და სტუდენტებმა, რომელთაც სურთ დაესწრონ სასწავლო კურსს ხანგძლივობით მაქსიმუმ 90 დღემდე უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები (ვიზის ტიპი C, შენგენის საფიზო ანკეტა):

- შენგენის საფიზო ანკეტა სრულყოფილად შევსებული და ხელმოწერილი (ბოლო ფურცელზე ორ ადგილას) არასრულად შევსებული და ხელმოწერული ანკეტები არ მიიღება.
- პასპორტი, რომელიც ძალაშია შვეიცარიის / ავსტრიის / შენგენის სივრცის დატოვების თარიღიდან მინიმუმ სამი თვე მაინც და გაცემულია ბოლო 10 წლის განმავლობაში.
- პასპორტის ასლი (სურათიანი გვერდის ასლი და იმ შემთხვევაში თუ პასპორტი გაგროძელებულია, იმ გვერდის ასლიც, რომელზედაც გაგროძელების შენიშვნა არის დაფიქსირებული)
- ძალაში მყოფი ვიზების ასლები.
- ორი პასპორტის ზომის ფოტოსურათი 35 / 40 მმ-ზე, მკაფიო ფოკუსით, დაუზიანებელი, გადაღებული ბოლო ორი თვის მანძილზე. ფოტოსურათები, რომლებიც არ დააკმაყოფილებს ამ პირობებს არ მიიღება.
- შვეიცარიის ან ავსტრიის უმაღლეს სასწავლებელში ან სკოლაში ჩარიცხვის საბუთი.
- საბუთი სწავლის საფასურის დაფარვის თაობაზე
- საბუთი საცხოვრებელი ხარჯების დაფარვის თაობაზე.
- იმ შემთხვევაში თუკი სკოლა/უმაღლესი სასწავლებელი არ ფარავს მოსწავლის / სტუდენტის ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ვიზის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს უბედური შემთხვევისა და ჯანმრთელობის სადაზღვევო პოლისი (ორიგინალი ასლით) 30 000 ევრო სადაზღვევო ლიმიტით, რომელიც ძალაში იქნება მთელი შენგენის სივრცისთვის.
- იმ შემთხვევაში თუკი ვიზის მსურველი პირი სწავლობს საქართველოში, მან უნდა წარმოადგინოს ცნობა სასწავლებლიდან, რომელიც მიმართული უნდა იყოს შვეიცარიის საელჩოსადმი. ცნობა შედგენილი უნდა იყოს ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად ან იტალიურად ან ნათარგმნი უნდა იყოს ერთ-ერთ ამ ენაზე.
- მოსწავლეებმა და სტუდენტებმა, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ 18 წელი, უნდა წარმოადგინონ მშობლების ნოტარიალურად

დამოწმებული თანხმობა, ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანით ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან იტალიურ ენაზე და დაბადების მოწმობის ასლი ნოტარიალური თარგმანით რომელიმე ზემოთ მითითებულ ენაზე.

- ორი ვიზის ბილეთის ჯაგჟანი ორიგინალი, ასლით. ჯაგჟანი უკან დასაბრუნებელი ღია თარიღით არ მიიღება.

საფიზო განაცხადი უნდა წარმოადგინოს თვით მოსწავლემ ან სდუდენტმა პირადად.

მოსწავლეებმა და სდენტებმა, რომლებიც მიემგზავრებიან ავსტრიაში სასწავლებლად 90 დღეზე მეტი ხნით უნდა წარადგინონ საქირო დოკუმენტაცია ქ. ბაქოში ავსტრიის საელჩოში. შემდგომი ინფორმაციისათვის ეწვიეთ მათ ვებ გვერდს:
<http://www.bmeia.gv.at/en/embassy/baku/practical-advice/travel-to-austria.html>

მოსწავლეებმა და სდენტებმა, რომლებიც მიემგზავრებიან შვეიცარიაში სასწავლებლად 90 დღეზე მეტი ხნით უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები (ვიზის ტიპი D, შვეიცარიის ეროვნული საფიზო ანკეტა).

1. 3 ცალი შვეიცარიის ეროვნული საფიზო ანკეტა (D ტიპის) სრულყოფილად შევსებული და ხელმოწერილი (ბოლო ფურცელზე ორ ადგილას) არასრულად შევსებული და ხელმოწერილი ანკეტები არ მიიღება.
2. პასპორტი, რომელიც ძალაშია შვეიცარიის / შენგენის სივრცის დატოვების თარიღიდან მინიმუმ სამი თვე მაინც და გაცემულია ბოლო 10 წლის განმავლობაში.
3. ორი ცალი პასპორტის ასლი (სურათიანი გვერდის ასლი და იმ შემთხვევაში თუ პასპორტი გაგრძელებულია, იმ გვერდის ასლიც, რომელზედაც გაგრძელების შენიშვნა არის დაფიქსირებული)
4. ძალაში მყოფი და ძალაში არ მყოფი ვიზების ასლები ორ ცალად.
5. ოთხი პასპორტის ზომის ფოტოსურათი 35 / 40 მმ-ზე, მკაფიო ფოკუსით, დაუზიანებელი, გადაღებული ბოლო ორი თვის მანძილზე. ფოტოსურათები, რომლებიც არ დააკმაყოფილებს ამ პირობებს არ მიიღება.
6. შვეიცარიის უმაღლეს სასწავლებელში ან სკოლაში ჩარიცხვის საბუთი. (ორიგინალი, ორი ასლით)
7. საბუთი სწავლის საფასურის დაფარვის თაობაზე (ორიგინალი, ორი ასლით)
8. ფინანსური გარანტიები, ვიზის მსურველი პირის (ან მისი მშობლების) საბანკო ანგარიშები, ბოლო სამი თვის საბანკო ბრუნვით, (ორიგინალი, ორი ასლით).

9. სკოლის მოწმობისა და დიპლომების ორიგინალები და მათი თარგმანი ორი ასლით (ორიგინალი დაგებრუნდებათ უკან).
10. CV (ორიგინალი 2 ასლით) ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ან იტალიურ ენაზე.
11. თარიღდასმული და ხელმოწერილი მოტივაციის წერილი, რომელიც უნდა იძლეოდეს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რატომ გსურთ სწავლა მოცემულ სასწავლებელში, (ორიგინალი, ორი ასლით), ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ან იტალიურ ენაზე.
12. თარიღდასმული და ხელმოწერილი წერილი სწავლის დასრულების შემდგომი გეგმების თაობაზე (ორიგინალი, ორი ასლით), ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ან იტალიურ ენაზე.
13. თარიღდასმული და ხელმოწერილი წერილი / ვაღდებულება, რომ პირი დატოვებს შვეიცარიის ტერიტორიას სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ, (ორიგინალი, ორი ასლით), ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ან იტალიურ ენაზე.
14. მოსწავლეებმა და სტუდენტებმა, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ 18 წელი, უნდა წარმოადგინონ მშობლების ნოტარიალურად დამოწმებული თანხმობა, ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანით ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან იტალიურ ენაზე და დაბადების მოწმობის ასლი ნოტარიალური თარგმანით რომელიმე ზემოთ მითითებულ ენაზე.

საფიზო განაცხადი უნდა წარმოადგინოს თვით მოსწავლემ ან სდუდენტმა პირადად. მათ უნდა გაიარონ მოკლე გასაუბრება შვეიცარიის საელჩოს თანამშრომელთან, რომელიც, გასაუბრების საფუძველზე, შეაფასებს მათი ენის ცოდნას.

საელჩო რეკომენდაციას აძლევს მოსწავლეებსა და სტუდენტებს გაარკვიონ შვეიცარიის სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში, სხვა დამატებითი საბუთების საჭიროების თაობაზე.

სასწავლო ვიზის განაცხადი გადაიგზავნება შვეიცარიაში შესაბამის ორგანოში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. აქედან გამომდინარე საფიზო მოსაკრებელს ემატება საფოსტო გზავნილის გადასახადი 11 აშშ დოლარის ოდენობით.

შვეიცარიის საელჩო უფლებამოსილია გასცეს ვიზა მხოლოდ შვეიცარიის შესაბამისი ორგანოდან ავტორიზაციის მიღების შემდეგ. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სასწავლო ვიზაზე ავტორიზაციის მიღებას სჭირდება დაახლოებით 6-დან 12 კვირამდე.

სამუშაო ვიზა

ავსტრიაში მუშაობის დაწყების მსურველებმა უნდა წარადგინონ საჭირო დოკუმენტაცია ავსტრიის საელჩოში ქალაქ ბაქოში. შემდგომი ინფორმაციის გასარკვევად გთხოვთ ეწვიოთ მათ ვებ გვერდს შემდეგ მისამართზე: (<http://www.bmeia.gv.at/en/embassy/baku/practical-advice/travel-to-austria.html>).

იმ შემთხვევაში თუკი შვეიცარიაში მუშაობის პერიოდი აღემატება 120 დღეს, მომავალმა დაქირავებელმა თაგად უნდა წარადგინოს საჭირო დოკუმენტაცია კანტონის შესაბამის ორგანოში.

იმ შემთხვევაში თუკი შვეიცარიაში მუშაობის პერიოდი არ აღემატება 120 დღეს შვეიცარიის საელჩოში უნდა წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

მოთხოვნები:

1. სამი შვეიცარიის ეროვნული საფიზო ანკეტა (ტიპი D) სრულყოფილად შევსებული და ხელმოწერილი, არასრულად შევსებული და ხელმოუწერილი ანკეტები არ მიიღება.
2. პასპორტი, რომელიც ძალაშია შვეიცარიის / ავსტრიის / შენგენის სივრცის დატოვების თარიღიდან მინიმუმ სამი თვე მაინც და გაცემულია ბოლო 10 წლის განმავლობაში.
3. ორი ცალი პასპორტის ასლი (სურათიანი გვერდის ასლი და იმ შემთხვევაში თუ პასპორტი გაგრძელებულია, იმ გვერდის ასლიც, რომელზედაც გაგრძელების შენიშვნა არის დაფიქსირებული)
4. ძალაში მყოფი და ძალაში არ მყოფი ვიზების ორი ასლი.
5. ოთხი პასპორტის ზომის ფოტოსურათი 35 / 40 მმ-ზე, მკაფიო ფოკუსით, დაუზიანებელი, გადაღებული ბოლო ექვსი თვის მანძილზე. ფოტოსურათები, რომლებიც არ დააკმაყოფილებს ამ პირობებს არ მიიღება.
6. შვეიცარიულ კომპანიასთან გაფორმებული კონტრაქტი (ორიგინალი ორი ასლით, ორიგინალი დაუბრუნდება ვიზის მსურველ პირს მაშინვე)

საფიზო განაცხადი უნდა შემოიტანოს უშუალოდ ვიზის მსურველმა პირმა!

ყველა უცხოელს, რომელსაც სურვილი აქვს მუშაობა დაიწყოს შვეიცარიაში, სჭირდება მუშაობის უფლება, იმისდამიუხედავად სამუშაოს შესრულებისას იღებს თუ არა ანაზღაურებას. შვეიცარიაში იკრძალება დაქირავებული პირის მიერ სხვა პირის დაქირავება საზღვარგარეთიდან.

მის უახლოეს მეზობლებთან, შვეიცარიის საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, მუშაობის უფლების მიღების დროს უპირატესობა ენიჭებათ ევროკავშირისა (EU) და ევროპის თაგისუფალი საგაჭრო სივრცის ასოციაციის (EFTA) ქვეყნების მოქალაქეებს. გამონაკლისის

სახით სხვა ქვეყნების მოქალაქეებსაც შეუძლიათ მიიღონ შვეიცარიაში მუშაობის უფლება თუკი მათ გააჩნიათ განსაკუთრებული მონაცემები და აქვთ განსაკუთრებული ტალანტი.

საფიზო განაცხადი გადაიგზავნება შვეიცარიის შესაბამის უწყებაში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, აქედან გამომდინარე საფიზო მოსაკრებელს დაემატება 11 აშშ დოლარი, საფოსტო გზავნილის გადასახადი. შვეიცარიის საელჩო უფლებამოსილია გასცეს სამუშაო ვიზა, მხოლოდ შვეიცარიის შესაბამის ორგანოდან მიღებული ავტორიზაციის შემდეგ.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მთლიან პროცედურას სჭირდება დაახლოებით 6-დან 12 კვირამდე.

გთხოვთ შეამოწმოთ ავტორიზაციის მიღება ტელეფონით 3-დან 5 საათამდე პარასკევის გარდა.

ოჯახის გაერთიანების ვიზა

პირმა, რომელსაც სურს შეუერთდეს თავისი ოჯახის წევრებს ავსტრიაში, უნდა წარადგინოს მთელი დოკუმენტაცია ავსტრიის საელჩოში, რომელიც მდებარეობს ბაქოში. შემდგომი ინფორმაციისათვის გთხოვთ ეწვიოთ მათ ვებ გვერდს.

ოჯახის გაერთიანების ვიზა იმ პირებისათვის, რომელთაც სურთ შეუერთდნენ თავიანთი ოჯახის წევრებს შვეიცარიაში. (ვიზის ტიპი D / შვეიცარიის ეროვნული საფიზო ანკეტა).

იმ შემთხვევაში, თუკი თქვენი მეუღლე არის შვეიცარიის მოქალაქე:

მეუღლე

- 1 სამი D ტიპის ხელმოწერილი საფიზო განაცხადი შევსებული გერმანულად, ფრანგულად ან იტალიურად და 4 პასპორტის ფოტოსურათი.
- 2 ძალაში მყოფი სამოგზაურო საბუთი და მისი სამი ასლი
- 3 ქორწინების მოწმობის ორიგინალი და მისი ორი ასლი
- 4 დაბადების მოწმობის ორიგინალი და მისი ორი ასლი
- 5 ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ორიგინალი, ორი ასლით
- 6 ცნობა ნასამართლეობის არქონის თაობაზე (ორიგინალი ორი ასლით). 16 წლამდე ასაკის მოქალაქეებს ცნობა ნასამართლეობის არქონის თაობაზე არ მოეთხოვებათ.

- 7 შვეიცარიაში მყოფი მეუღლის წერილი, რომელშიც გამოხატულია მისი სურვილი, რომ მისი მეუღლე და შვილები (მათი არსებობის შემთხვევაში) გადავიდნენ მასთან საცხოვრებლად შვეიცარიაში. წერილი შედგენილი უნდა იყოს გერმანულად, ფრანგულად ან იტალიურად და წარმოდგენილი უნდა იყოს ორი ასლით. წერილი უნდა იყოს ორიგინალი ან უნდა გამოიგზავნოს შვეიცარიიდან საელჩოს მეილზე.
- 8 შვეიცარიელი მეუღლის პასპორტის საში ასლი. შესაძლებელია გამოიგზავნოს საელჩოს მეილზე.

არასრულწლოვანი შვილები:

- 1 საში D ტიპის საფიზო განაცხადი შევსებული გერმანულად, ფრანგულად ან იტალიურად და 4 პასპორტის ფოტოსურათი (მცირეწლოვანი ბავშვების შემთხვევაში განაცხადზე ხელს აწერს მშობელი ან მეურვე)
- 2 ძალაში მყოფი სამოგზაურო საბუთი და მისი საში ასლი
- 3 დაბადების მოწმობის ორიგინალი და მისი ორი ასლი
- 4 ბავშვზე მეურვეობის მინიჭების საბუთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორი ასლით
- 5 ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ორიგინალი, ორი ასლით
- 6 შვეიცარიელი მშობლის პასპორტის საში ასლი

ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან და ცნობა ნასამართლეობის არქონის თაობაზე არ უნდა იყოს აღებული ექვს თვეზე მეტი ხნით ადრე.

ყველა საბუთი უნდა იყოს ნათარგმნი გერმანულ, ფრანგულ ან იტალიურ ენაზე. ორიგინალი საბუთები ან მათი ასლები და თარგმანი უნდა იყოს ლეგალიზებული აპოსტილის ბეჭდით, როგორც ეს მოცემულია ჰააგის კონვენციიში.

საკონსულტო მიიღებს მხოლოდ საბუთების სრულ პაკეტს.

შემდგომი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ მეილით

შემდეგ მისამართზე: tif.visatiflis@eda.admin.ch

#####

თქვენს გაერთიანების ვიზა იმ შემთხვევაში, როცა მეუღლე არ არის შვეიცარიის მოქალაქე, მაგრამ აქვს შვეიცარიაში ცხოვრების უფლება.

მეუღლე

- 1 საში D ტიპის ხელმოწერილი საფიზო განაცხადი შევსებული გერმანულად, ფრანგულად ან იტალიურად და 4 პასპორტის ფოტოსურათი.
- 2 ძალაში მყოფი სამოგზაურო საბუთი და მისი საში ასლი
- 3 ქორწინების მოწმობის ორიგინალი და მისი ორი ასლი

- 4 დაბადების მოწმობის ორიგინალი და მისი ორი ასლი
 5 ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ორიგინალი, ორი ასლით
 6 ცნობა ნასამართლეობის არქონის თაობაზე (ორიგინალი ორი
 ასლით). 16 წლამდე ასაკის მოქალაქეებს ცნობა ნასამართლეობის
 არქონის თაობაზე არ მოეთხოვებათ.
- 9 შვეიცარიაში მყოფი მეუღლის წერილი, რომელშიც გამოხატულია
 მისი სურვილი, რომ მისი მეუღლე და შვილები (მათი არსებობის
 შემთხვევაში) გადავიდნენ მასთან საცხოვრებლად შვეიცარიაში.
 წერილი შედგენილი უნდა იყოს გერმანულად, ფრანგულად ან
 იტალიურად და წარმოდგენილი უნდა იყოს ორი ასლით. წერილი
 უნდა იყოს ორიგინალი ან უნდა გამოიგზავნოს შვეიცარიიდან
 საელჩოს მეილზე.
- 7 მეუღლის პასპორტის და შვეიცარიაში ცხოვრების უფლების სამი
 ასლი. შესაძლოა გამოიგზავნოს შვეიცარიიდან საელჩოს მეილზე.

არასრულწლოვანი შვილები:

1. სამი D ტიპის სავიზო განაცხადი შევსებული გერმანულად,
 ფრანგულად ან იტალიურად და 4 პასპორტის ფოტოსურათი
 (მცირეწლოვანი ბავშვების შემთხვევაში განაცხადზე ხელს აწერს
 მშობელი ან მეურვე)
2. ძალაში მყოფი სამოგზაურო საბუთი და მისი სამი ასლი
3. დაბადების მოწმობის ორიგინალი და მისი ორი ასლი
4. ბავშვზე მეურვეობის მინიჭების საბუთი (ასეთის არსებობის
 შემთხვევაში) ორი ასლით
5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ორიგინალი, ორი ასლით
6. მშობლის პასპორტისა და შვეიცარიაში ცხოვრების უფლების სამი
 ასლი.

ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან და ცნობა ნასამართლეობის არქონის
 თაობაზე არ უნდა იყოს აღებული ექვს თვეზე მეტი ხნით ადრე. ყველა
 საბუთი უნდა იყოს ნათარგმნი გერმანულ, ფრანგულ ან იტალიურ ენაზე.
 ორიგინალი საბუთები ან მათი ასლები და თარგმანი უნდა იყოს
 ლეგალიზებული აპოსტილის ბეჭდით, როგორც ეს მოცემულია ჰააგის
 კონვენციით.

საკონსულტო მიიღებს მხოლოდ საბუთების სრულ პაკეტს.

შემდგომი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ მეილით შემდეგ
 მისამართზე: tif.visatiflis@eda.admin.ch

საგიზო მოსაკრებელს ემატება საფოსტო მოსაკრებელი, რომელიც შეადგენს 11 აშშ დოლარს, გადახდა წარმოებს დოლარში.

ქორწინების რეგისტრაცია

ქორწინების რეგისტრაციის მომზადება შეეიცარის მოქალაქესა და ქართველ ან სხვა ეროვნების მოქალაქესთან.

1. სამი **D** ტიპის ხელმოწერილი საგიზო განაცხადი შევსებული გერმანულად, ფრანგულად ან იტალიურად და 4 პასპორტის ფოტოსურათი, გადაღებული ბოლო ექვსი თვის მანძილზე.
2. ძალაში მყოფი სამოგზაურო საბუთი და მისი სამი ასლი
3. დაბადების მოწმობა.
4. მშობლების ქორწინების მოწმობა (საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი დაბადების მოწმობაში არ არის მოხსენიებული დედის ქალიშვილობის დროინდელი გვარი)
5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან ორიგინალი
6. ცნობა ნასამართლეობის არქონის თაობაზე ორიგინალი. 1
7. ცნობა სამოქალაქო სტატუსის შესახებ:
 - ან ცნობა, რომ პირი არადროს იმყოფებოდა სამოქალაქო ქორწინებაში.
 - განქორწინების შემთხვევაში, ცნობა განქორწინების შესახებ
 - თუკი პირი არის ქვრივი, ცნობა მეუღლის გარდაცვალების შესახებ
8. მომავალი მეუღლის პასპორტის სამი ასლი

ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ნასამართლეობის არქონის თაობაზე და ცნობა სამოქალაქო სტატუსის შესახებ უნდა იყოს აღებული ბოლო ექვსი თვის მანძილზე. ყველა საბუთი უნდა იყოს ნათარგმნი გერმანულ, ფრანგულ ან იტალიურ ენაზე. ორიგინალი საბუთები ან მათი ასლები და თარგმანი უნდა იყოს ლეგალიზებული აპოსტილის ბეჭდით, როგორც ეს მოცემულია ჰააგის კონვენციიში.

ქორწინების მოსამზადებელი ორი სპეციალური ფორმა უნდა შეიფოსოს ადგილზე საკონსულტოში და მათზე ხელმოწერა უნდა დაფიქსირდეს შეეიცარის ოფიციალური პირის წინაშე.

საგიზო მოსაკრებელს ემატება საფოსტო მოსაკრებელი, რომელიც შეადგენს 11 აშშ დოლარს, გადახდა წარმოებს დოლარში.

